იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ.
საზღვარგარეთ: წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 31
წელიწადი პირველი
1912

ხუთშაბათი, 1 ნოემბერი

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, ვ. ი. ჭილაძის სახლში, (ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ამა 1912 წ. 26 სეკტემბრიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური ქართული გაზეთი

იმერეთი

✖ (წელიწადი პირველი) ✖

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . . 7 მანეთი.
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი.
ერთი თვით . . . 4 აბაზი.
ცალკე ნუმერი . . . შაურათ.

1 ოკტომბრიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს 2 მანეთად. მოწაფეებსა და სოფლის მასწავლებლებს დაეთმობათ მანეთ ნახევრათ.

მისამართის გამოცვლა—10 შაური.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი ღირს 6 შ., მეოთხეზე აბაზათ, შიგნით გვერდებზე მორიგებით. სამგლოვიარო განცხადება—3 მანეთად.

ფული და გაზეთის ყოველივე საკანტორო ანგარიში უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: Въ гор. Кутаисъ, редакція и контора газеты „Имерети“ **Антону Михаиловичу Хеладзе.** სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

პაებზე დაფუძნებული ამხანაგობა

ს. მ. კირაკოზოვის და ბ. გ. ოგანოვის

ქ. ქუთაისში, გიმნაზიის ქუჩა, საკუთარი სახლი.

მომავალი ამა სეზონისთვის მიღებულია აუარებელი და დიდძალი ასარჩევი საქონელი: აბრეშუმის, შალის, მაუდის, მატყლის, ტილოსი და ბამბისა.

დიდი სარჩევი:

პლიუშის, ველვეტის, საბნების, ნოხების, „დაროჟკის“, გორდონი ტიულის, ბრეზენტის, ტილოსი, ჯუტის და ყოველნაირი მაუდების და ფორმის მატერიების სამხედრო და სამოქალაქო უწყებათათვის და ყველა სასწავლებლისთვის.

სუფრის ჩაის და ლოგინის თეთრეული, სერვიზები ყოველნაირი ბამბაზეა, შოტლანტა და ვიგონები.

მაღაზია და საწყობი სავსეა სეზონის ახალ-მოდის საქონლით.

რადგანაც ჩვენს ამხანაგობაში მონაწილენი არიან სხვილი და გამოჩენილი ქარხნების პატრონები ქ. მოსკოვისა, ამისათვის ფასები დანიშნულია რიგიანი და შეუვაჭრებლათ.

მიიღება აგრეთვე დაკვეთა ყველა სახელმწიფო, და კერძო დაწესებულებათათვის ნარდ ფასათ.

ქუთაისის განყოფილება.

გაზეთი „იმერეთი“ იყიდება მესხეთის ქუჩაზე მოვაჭრე ამროსი ხვინგიასთნა. ორპირის ქუჩაზე, მეთუნუქე ვანო ცორამის სახელოსნოში, იქვე მიიღება ხელის მოწერაც.

შაბათს 27 ოკტომბერს ქალაქ ქუთაისში ხანგრძლივი და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გადაიცვალა

მინა (მინადორა) გრიგოლ ახვლედიანის ასული,

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებულის ძმები: ანტონი და ალექსანდრე, და მისი ელისაბედი და რძალი ფატი დარისპანის ასული ახვლედიანისა. გამოსვენება მოხდება 1 ნოემბერს, ხუთშაბათს, ნაშუადღევს 3 1/2 ს., ქვარიანების ქ., ზვეტაძის სახ. პანაშვიდები ყოველ დღე 4 1/2 საათ.

პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!.

ახლათ მიღებული საქონელი **შემთხვევით ნაყიდი** და პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის.

გაყიდვა დაიწყება **დღეის რიცხვიდან მოკლე ვადით** ქ. ქუთაისში, ბულვარის პირდაპირ ძმ. ოცხელების შენობაში ახვლედიანის მაღაზიის მეორე განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონელი: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტუმები. 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშების საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, საუკეთესო ღირსების და გამოჩენილი ქარხნების აბრეშუმის იუბკები, შალის კაბის ქვედა წელები, რუბაშკები და სარუბაშკეები ნაჭრობით; **კალოშები**, კაცის, ქალისა და ბავშის, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ღია წერილის ალბომები, ქალის და კაცის ქამრები და საქამრე რეზინები და სხვა მოწყობილება მისი, ყოველნაირი რეზინა წვივსაკრავისთვის და აგრეთვე მზა წვივსაკრავი ქალთა და ბავშთათვის, სამუსიკო იარაღები სასიამოვნო ნოტებით, კორსეტები და სხვა. **ამასთანავე მოვახსენებთ პატივცემულ საზოგადოებას,** რომ ახვლედიანის მაღაზიაში არის ახლადვე მიღებული დიდძალი საგალანტერეო საქონელი მზა ტანისამოსები და ფეხსაცმელები კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს კიდევ ვღებულობთ ყოველდღე.

ფასები ხელმისაწვდომია და უვაჭროთ. პატივისცემით **ა. ახვლედიანი.**

ОБЪЯВЛЕНІЕ.

Кутаисское агентство Русскаго общества пароходства и торговли симъ объявляетъ, что въ 10 час. ут. 20 ноября сего 1912 г. въ складѣ его, что на Воронцовской ул. въ домъ Габунія назначены **ТОРГИ** на продажу мануфактурныхъ товаровъ, прибывшихъ изъ Москвы по коносаментамъ за № № 3742, 3778, 1556, 1582, 1597, 1701, 1830, 1831, 1895, 1937 и 2082 и непринятыхъ грузополучателями въ установленный § 11 уст. О-ва срокъ.

განცხადება.

რუსის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების სააგენტოში ვარანცოვის ქუჩაზე ფარნა ბაბუნიას სახლში, დილით 10 საათზე, 20 ნოემბერს ამა 1912 წ. დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** ფართლეულობის საქონელზე, რომელიც გამოგზავნილია მოსკოვიდან კონოსამენტებით № № 3742 3778, 1556, 1582, 1597, 1701, 1830, 1831, 1895, 1937 და 2082 და რომელნიც საქონლის მიმღებმა საზოგადოების წესდების მე-11-ე §-ის ძალით დანიშნულ დროზე არ გამოიყიდა.

ალექსანდრე კოსტავას

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზიაში

თფილისის ქუჩაზე, აფთიაქთან.

ახლათ მივიღეთ: კოსტიუმები, საშემოდგომო და საზამთრო პალტოები, აგრეთვე მოწაფეებისათვის, საწვიმარი მოსახურავები და სხვა შეკერილი ტანისამოსი. ყველაფერი მეტათ დაკლებულ ფასათ იყიდება, რადგანაც ნაღდზე მაქვს ნაყიდი და მექარხნეებმა ძლიერ დამიკლეს ფასები. აგრეთვე ვღებულობ „ზაკაზებს“ ძლიერ ხელმისაწვდომ ფასათ, გვაქვს რუსული და ევროპიული ყოველგვარი საკოსტიუმო მატერია კაცებისათვის.

მოდნო მანუფაქტურის მაღაზია

ზ. ს. ბუტულოვისა

მივიღეთ

რუსეთისა და საზღვარგარ. ქარხნების საუკეთესო ახალ-მოდის საქონელი

დიდძალი არჩევა **შალეულობის, მაუდების, აბრეშუმებისა** და თეთრეულის. **სუფრის და ხელსახოცის** საუკეთესო ნაწარმოები.

მოწაფეების და ყველა დარგის მოხელეების ფორმის მატერიები.

✖✖ ყველა საქონელზე ფასი რიგიანი და შეუვაჭრებლათ. ✖✖

გიმნაზიის ქუჩა, ბაღის პირდაპირ. ტელეფონი № 28.



იულიუს საარეკ

მოიჯარადრე ქუთ. ქალ. ქუჩების ნავთით განათების

და

მხოლოდ ერთი წარმომადგენელი ქუთაისის და ბათუმის მაზრისა ამ მშვენიერ ხანგძლივ ფარნებისა

✖✖ **იბა ი. ნ.** ✖✖

უფრთხილდით მიმსგავსებას

მისამართი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი. ტელეფონი № 18.

ОБЪЯВЛЕНІЕ.

Въ гор. Кутаисѣ, на Воронцовской улицѣ въ домѣ Муралова съ 20 декабря открывается оптовый

СКЛАДЪ

мануфактурныхъ товаровъ.

Подъ фирмою

Т-во „МИНГРЕЛІЯ“.

განცხადება.

ქალ. ქუთაისში, ვორონცოვის ქუჩაზე, მურალოვის შენობაში, 20 დეკემბრიდან იხსნება **მანუფაქტურის საქონლის საპარტიო**

საწყობი

ფირმას ერქმევა სახელათ

ამხ. „სამეგრელო“.

ექიმი ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე: ყელის, ცხვირის და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა, სახლი ნიჟარაძისა.

ბებია ქალი ე. ი. ბუდაგოვსკისა, ვკურნავ კან-ქვეშ შესაშხაპუნებელი წამლით. ივანოვის ქუჩა, სახლი ბაჯიოღლისა № 20.

ექიმი გ. დ. ნასარიძე და მისი და **ე. დ. ნასარიძის ასული** გადავიდენ ახალ ბინაზე, იქვე ძველი ბინის პირდაპირ რ. ს. ეზიკოვის სახლში.

ექიმი ი. ჩარექოვი

დაბრუნდა აგარაკიდან და იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით **კანის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყოფებს.** დილის 12 საათ. 2-დი; საღამოს 5—7.

ილია ჭავჭავაძის ქ. აბულაძის შესახვევი იოსელიანის სახლი.

ექიმი ვ. ს. ფეზინი ქირურგიული და საშარდის ავათმყოფობა [ცისტოსკოპია საშარდე) ბუშტის ელექტრონით გამოკვლევა კატეტერიზაცია თირკმლის. მიღება 12—2 საათ. და 4—6 ს. გოშპიტ ქ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

მ. ტ. ბალანჩივაძისა.

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება. ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით, კან-ქვეშ შესაშხაპუნებელი წამლით და ვსპობ სახეზე: მეწუკებს, ნაკეცებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და სახის ყოველგვარ ავათმყოფობას.

ზენერლის ქ. აქიმის ხ. ლორთქიფანიძის სახლებში.

ექიმი ი. ტოგონიძე.

იღებს შინაგან, ქალის სნეულებითა და საბებიო ავათმყოფთ.

ვაჟების გიმნაზიის პირდაპირ, ჩელინგაროვის სახლი.

ბებია ქალი

ო. დონდუას ასული

აქიმ კაკიტელაშვილთან ერთად იღებს თავის საკუთარ ბინაზე მშობიარე დედათ მოსალოგინებლათ. ფასი მორიგებით.

პუშკინის ქუჩაზე ვიტუშინსკის აფთეაქის პირდაპირ.

ქართული თეატრი.

სამხატვრო საღამო, რომელიც დანიშნული იყო დღეს, 1 ნოემბერს მსახიობ **ვასო არაბიძის** ავათმყოფობის გამო გადაიდო [illegible] თ 8 ნოემბრისთვის.

დირექცი[illegible]ით. დრ. [illegible]ოგადოებისა

ქირავდება

ერთი ოთახი, თფილისის ქუჩაზე დეპუტატთა საკრებულოს გვერდით. პირობების გაგება შეიძლება გაზ. „იმერეთის“ რედაქციაში.

დღიური.

სააგენტოს კორესპონდენტს 32 დარბეული სოფელი დაუვლია. უნახავს—როგორ ცარცვავდენ და იკლებდენ ხალხს და როგორ გარბოდა ხალხი სოფლებიდან.

— ქასან-ტეპე და პაპას-ტეპე ბულგარლებმა აიღეს.

— საფრანგეთმა, რუსეთმა და ინგლისმა გადაწყვიტა ბალკანეთის საქმეებში ავსტრიას არაფერი დაუთმონ.

— ავსტრიამ სერბიის საზღვარზე 18 ბატალიონი გაგზავნა.

— რუმინია დიდძალ სამხედრო სურსათს იძენს.

— დიდმა სახელმწიფოებმა ბულგარეთს განუცხადა—არ მოგცემთ ნებას სტამბოლი დაიპყროთო. ბულგარეთმა უპასუხა სტამბოლის დაპატრონებას არც ჩვენ ვფიქრობთ, მაგრამ ოსმალების ხელში მისი დარჩენა კი შეუძლებლათ მიგვაჩნიაო....

— ათინაში სალონიკიდან პირველი დეპეშა მიიღეს. მეფის შვილი საფოშტო მოხელეებს იწვევს იქ.

— პრაგაში ბალკანეთის სამეფოების თანაგრძნობის მანიფესტაცია მოახდინეს.

— ვენაში მშვიდობიანობის სასარგებლოთ სოც.-დემოკრატების დიდი მანიფესტაცია მოხდა.

— სერბიის მემკვიდრემ პრინცესა სოფიო, ვენიზელოსი და დიდებულნი სალონიკში მიიწვია.

ქუთაისი, 1 ნოემბერი.

ბურისს მასწავლებლებს ბანი მისცეს ს. ძუხის მასწავლებლებმა, ძულაშის სამოქალაქო სასწავლებლის გამგეც არ ჩამორჩა ამათ და სამივე ერთად ხმაშეწყობილათ საგალობელს ამბობენ ბ-ნი ტერ-ბასპარიანცის გულის მოსაგებათ.

ამაზე მეტი დაქვეითება, პედაგოგიური მოძღვრების, ამაზე უფრო უარყოფა წარმოუდგენელია.

უფროსის გულის მოსაგებათ, იმ უფროსისა, რომელსაც პოლიტიკა შეაქვს სწავლა-აღზდის საქმეში, ჩვენებური მასწავლებელნიც ბუშმენურ პოლიტიკას აწარმოებენ და ხელს უწყობენ ნორჩი ბავშების გონების დახშვის საქმეს.

კანონით დამტკიცებულია--პირველ დაწყებით შკოლებში სწავლა მშობლიურ ენაზე უნდა სწარმოებდესო.

ბ-ნი ტერ-ბასპარიანცი კი წარჩინებასა და წარმატებას პირდება იმათ, ვინც ჩვენი სოფლების ბალღებს თავიდანვე უცხო ენაზე დაუწყებს სწავლებას.

ამაზე ითქმის სწორეთ—მოვიდა სომეხი და მოიტანა სხვა მეხიო.

ბონება მოიკრიბონ მასწავლებლებმა. ანგარებისათვის წმინდა საქმის ღალატი არ უმართებთ იმათ, ვისაც ხალხის განათლების საქმე უკისრია.

მოიკრიბონ გონება და ერთ წამს იფიქრონ იმაზე, თუ ბ-ნი ტერ-ბასპარიანცი ამგვარსავე პოლიტიკას გაყვებოდა, იგი რომ აქ, ჩვენში კი არ უძღოდეს სწავლა-აღზდის საქმეს, არამედ სადმე თავისიანებით, სომხებით დასახლებულ ქვეყანაში უდგეს სათავეში ამ საქმეს...

Ისიც მართალია, რომ განდიდებისა და წარჩინებისათვის იქ, თავისიანებშიც არ ითაკილოს ასეთი მოქმედება, მაგრამ, სადაც უნდა იყოს, ასეთი მოქმედება წაღმართი არსად და არაოდეს არ იქნება, და უკუღმართობის ხელის შეწყობა კი არაფერი სასახელოა და ჩვენი მასწავლებელნიც კარგ სახელს ვერ მოიხვეჭენ ასეთი საქციელით...

უდიდესი მატყუარობა.

ამას წინათ ვამბობდი, რომ ჩვენებური დასელები სხვებს უწოდებენ მატყუარებს და თვითონ კი უდიდესი მატყუარები არიანთქო. რომ მათი უმანკო სული და გული შეურაცხყოფილი არ დარჩეს, საჭიროთ მიმაჩნია მცირედ მაინც განვმარტო ეს ფაკტი.

კაპიტალმა წარმოშვა განსაკუთრებული კლასი, კლასი სულსა და კეთილს შუა არაფრის მქონე, გარდა თავის სამუშაო ძალისა, რომელსაც იგი ყიდის ქარხნებსა და ფაბრიკებში და ასე იპურებს სულს. ესენი არიან ა. წ. პროლეტარები, უმიწაწყლო, ბოგანო ხალხი. მძიმე და აუტანელია ამათი მდგომარეობა განსაკუთრებით ეკონომიური კრიზისების დროს, როცა ათასობით მუშა ხელი უსაქმოთ რჩება, მაშასადამე, ულუკმაპუროთაც. ამისთანა დროს ესენი იძულებული არიან ითხოვონ და ასე გამოიკვებონ თავი! ბალღებული კაპიტალისტის გულს კი ძალიან არ აწუხებს მისივე სიმდიდრის შემქმნელის ასეთი მდგომარეობა. შრომისა და კაპიტალის ასეთმა ურთიერთობამ შექმნა განსაკუთრებული იდეოლოგია. თეორიულად ეს დამოკიდებულება, სხვა მრავალ მკვლევართა შორის, განიხილა მეცნიერმა კ. მარქსმა, რომელსაც მისმა ღრმა რწმენამ თუ სხვა რამ გარემოებამ ათქმევინა: „პროლეტარს სამშობლო არა აქვსო“. პროლეტარს სამშობლო აქვს თუ არა— სხვა საკითხია და ამაზე დადებითი პასუხი მოგვცეს ისეთმა წარმომადგენლებმა მარქსის მოძღვრებისამ, როგორიც არიან ავგ. ბებელი (გერმანია), პერნერსტარფერი (ავსტრია) და ჰენრიკო-ფერრი (იტალია). ეს კია, რომ ყველა ესენი ერთხმათ აღიარებს: „არა, პროლეტარი თავისი მდგომარეობით ჩვენი იდეის მატარებელი ვერ იქნება, რადგანაც მდგომარეობა შეიქმს შეგნებასო“. ე. ი., საკუთრების მქონე, რა გინდ მცირეც იყოს ეს საკუთრება, ვერ შეიგნებს სოციალიზმს, მისი ბუნება ძირითადათ ეწინააღმდეგება მასო. ამიტომ საჭიროა ყოველმა მესაკუთრემ დაკარგოს, თუ რამ გააჩნია, გაბოგანოვდეს, გაპროლეტარდეს და მხოლოდ მაშინ გამოდგება ის სოციალისტური არმიის წევრათო.

გლეხი მდგომარეობით ბურჟუაა, მას ანტისოციალისტური თავი აბია, იგი რეაქციონერია, მტერი განახლების და წინმსვლელობისო“.—ასე ამკობენ გლეხს რუსეთის სოც.-დემოკრ. პარტიის მეთაურები. თუთიყუშივით ამასვე იმეორებენ ჩვენებური დასელები, როცა დასჭირდებათ.—ახლა ერთი ეს ვიკითხოთ, ასეთი აზროვნების მიმდევარი ხალხი ჩვენებურ გლეხს რომ მიადგა კარზე და ეუბნებოდა, მე ვარ შენი ერთადერთი მცველი „და არა იყონ შენდა მცველნი, უცხონი ჩემსა გარეშეო“, —რის ძალით? რა უფლებით? სოც.-დ-ტია, როგორც ქარხნის მუშების პარტია, როგორ მივიდა ანტისოციალისტური თავის მქონე გლეხთან, რეაქციონერ გლეხთან და უთხრა: „მე ვარ შენი მფარველი ანგელოზიო“? კარგი, გულუბრყვილო გლეხმა დაიჯერა და იწამა მათი მფარველობა, სინიდისი, კერძო გინდ პარტიული სინიდისი რას ეუბნებოდა ამის მქადაგებელთ, ან მათ მომავლინებელთ?.. ნუ თუ იმას, რომ ესენი უბრალო ჯარისკაცებათ გამოდგებიან, როცა მათ ესდეკთა არმიის გენერლები „სოციალისტური“ ცხის საიერიშოთ მოამზადებენ?!. ან კიდევ,—როცა იმავე გლეხებს ეუბნებოდენ, სხვას არვის დაუჯეროთ, თვარა ბატონ-ყმობის აღდგენას აპირებენო,—იყო და არის თუ არა ეს უდიდესი და უსაძაგლესი მატყუარობა?!.

ბ.ბ.! რათ მოატყუეთ აგრე ხალხი? რათ დაუმალეთ მას თქვენი ნამდვილი სახე, თქვენი ნამდვილი პროგრამა? რათ გადააფუჩეჩეთ თქვენს პროგრამაში ისეთი ადგილები, რომელიც თქვენ ჩვენს ქვეყანაში არ გაბოგინებდათ?.. რათ დაუმალეთ ხალხს თქვენივე დალაი-ლამას სიტყვები: „ჩვენ რომ ჩვენი საკუთარი პოლიტიკა გვეწარმოებია, ჩვენი ნამდვილი სახე ხალხისთვის დაგვენახვებია, უეჭველია არც ერთი მათგანი უკან არ გამოგვყვებოდაო“. (იხ. „სოც. დემოკრ.“ № 4, 1905 წლ.). დიახ, თქვენ ხალხს დაუმალეთ თქვენი ნამდვილი სახეც და პროგრამაც! თქვენ განზრახ ჩაიდინეთ, ეს და მრავალი სხვა უდიდესი მატყუარობა, გასოცარი მატყუარობა, ისეთი, რომ საზღვარგარეთ სოციალისტურ კონგრესებზე ერთმანეთს ეკითხებოდენ: „როგორ მოხდა, რომ საქართველოში სოც.-დემოკრატ. იმარჯვებენო? აი, სანამდი მიგიყვანათ პარტიულმა ეგოისტობამ! თქვენი საოცარი მატყუარობა იცის ქვეყანამ და ვისაც ჯერ არ გაუგია და ამიტომ არა სწამს, გაიგებს და იწამებს.

ვინ?

ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი.

დღეს, 1 ნოემბერს ქართულ თეატრში შ. შარაშიძის რეჟისორობით, გამართული უნდა ყოფილიყო სამხატვრო და იუმორისტიული საღამო. როგორც გადმოგვცეს მსახიობი ვასო არაბიძე ავათ გამხდარა და რადგან ის უმთავრეს როლს ასრულებდა, საღამო გადაიდო 8 ნოემბრისათვის.

✦ ოსმალეთში მცხოვრებ ქართველებზე რამდენიმე ცნობა მივიღეთ:

— უტყუარი ანგარიში იმისა, თუ ოსმალეთის რომელ ადგილს, რამდენი ქართველი მამადიანი ცხოვრობს ჩვენ ხელთ არა გვაქვსო,—გვწერს ბ. შ. ვ.—ამასწინათ შემთხვევით შევიტყეთ, რომ ისრითის სანჯაყში დიდძალი ქართველი მამადიანია დაბინავებული. აქ ხუთი ათი კომლამდი ქართველობა იქნება, რამდენიც ამ 30 წლის წინათ გადმოსახლებულან; ენა დაცული აქვთ, ხოლო სხვა მხრით ეროვნულათ სახიფათო გარემოებაში იმყოფებიანო.

— სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა პატრებმა განიზრახეს ევროპაში ფერადი საღებავებით დასტამბონ და გამოსცენ ,,დიდება საქართველოს ერისა და ეკლესიისა'', რომელიც 1880 წ. საბინიხმა დაბეჭდა ლაიპციგში. ამგვარათვე ფიქრობენ გამოსცენ ევროპაში გასავრცელებლათ ქართველი წმიდანების სურათები.

-- ამას წინათ სტამბოლის ქართვ. კათოლ. პატრების მოწოდებით რამდენიმე კრება მოხდა. კრებას დასწრებიან ბლომათ ქართველი მამადიანი ფაშებიც. შეუკრავთ წრე და კლუბიც დაუარსებიათ. წესდება [illegible] დაუმტკიცებია მთავრობას. წრის [illegible] მიზანია ოსმალეთის ქართველ[illegible]როვნული შეგნება გაავრცელო[illegible] შკოლები, მიაწოდონ გაზე[illegible] წიგნები და სხვ.

✦ არჩილ ჯორჯაძეს წ. კ. საზოგადოებაში შემდეგი განცხადება შეუტანია: ვთხოვ გამგეობას პირველი ნოემბრიდან ნულარ მიგზავნის სალიტერატურო ფონდის პენსიას, რომელითაც დღემდი ვსარგებლობდი. ამასთანავე დიდ მადლობას ვუთვლი გამგეობას, რომ ამ პენსიის საშუალებით ორი წლის განმავლობაში დიდი დახმარება გამიწიაო.

✦ ჟურნალი „განათლების“ რედაქციის განუზრახავს გამოსცეს საგანგებო კრებული, სადაც დაბეჭდილი იქნება ყველა ის წერილი, ლექში და სიტყვა, რომელიც ი. გოგებაშვილის გარდაცვალებასა და დაკრძალვას შეეხება.

✦ ქართულ გიმნაზიაში 11 ნოემბერს მოწაფეები სალიტერატურო საღამოს მართავენ.

✦ „სახ. გაზეთის“ ცნობით თფილისის წვრილი კრედიტის საქმეთა კომიტეტს თფილისის გუბერნიაში 12 ახალი ამხანაგობის გახსნის ნება დაურთავს. აქიდან ოთხი—გორის მაზრაში, ოთხი დუშეთისაში და ოთხიც თფილისისა, ბორჩალოსა და თელავის მაზრაში გაიხსნება.

✦ ილიას დაბადებიდან 75 წლის თავი ბაქოში უდღესასწაულებიათ. ამ საღამოს გაუმართავთ სალიტერატურო საღამო; ხალხი ბლომათ დაესწრო.

✦ განუზრახავთ ლანჩხუთში აკაკი მოიწვიონ და მისი მონაწილეობით საღამო გამართონ.

✦ უჩა დადიანის საქმე კავკავიდან ბაქოში გადაიტანეს და გაირჩევა მომავალ წლის იანვარში.

✦ 29 ოკტომბერს, ქუთაისის სატუსაღოდან მეტეხის სატუსაღოში გაგზავნეს ბუგუნავას ქალი. თფ. სამოსამართლო პალატა მის საქმეს განიხილავს 5 ნოემბერს. მას ბრალდება თავის სახლის ცეცხლის წაკიდება და სასამართლოსაგან მისჯილი აქვს ხუთი წლის ციხე.

✦ მეტეხის სატუსაღოდან ქუთ. საგუბერნიო სატუსაღოში ჩამოიყვანეს ტუსაღი ალექსი ბრუზენკო. მას ოლქის სასამართლომ ცხრამეტი წლის კატორღა გადაუწყვიტა. ამის გამო მას ბრალდება მსაჯულების შეურაცხყოფა, რისთვისაც შეუყენეს ოქმი და ოთხი წლის კატორღა გადაუწყვიტეს. ბრუზენკო განაჩენის კმაყოფილი არ დარჩა და გაასაჩივრა პალატაში. პალატამ სასჯელი ოთხ წელიწადზე შეუმცირა. მას ბრალდებოდა სახალინის კუნძულიდან თავის ნებით დაბრუნება და სამსახურის გარეშე მყოფი გენერლის ფორმაში ცხოვრება. ამისათვის ბრუზენკო ახალი ათონის მონასტერში დააპატიმრეს, მას თან ქონდა გენერლის ორდენები. ამას შემდეგ ის სოხუმის სატუსაღოში მოათავსეს, საიდანაც ის მალე გაიქცა, რის შემდეგაც ხელ-ახალი დაჭერა და გასამართლებაა.

მოწერილი ამბავი.

სოფ. ეწერ-ბაში (ქვემო იმერეთი.)

ამ სოფელში ვენახი დიდათ ვერ ხეირობს. აქაური გლეხის სიმდიდრეს სიმინდის მოსავალი შეადგენს, მაგრამ საუბედუროთ წელს ძალიან ცუდი მოსავალი იყო, და რაც მოვიდა, ცუდი ამინდის გამო მოუტანელი ბევრი წილი ყანებში დაზიანდა. ძალიან ცუდ მდგომარეობაშია ხალხი უგზოობის გამო. სწავლა განათლების მხრივ ჩვენი სოფელი დღემდი ძალიან ჩამორჩენილი იყო, მაგრამ წელს გვეღირსა და გახსნეს ერთკლასიანი სამინისტრო შკოლა.

ს. კულაში (ქვემო იმერეთი).

21 ოკტომბერს ადგილობრივმა სამოქალაქო სასწავლებელმა ნაპოლეონის დამარცხების ასი წლის თავი იდღესასწაულა. წარმოდგენა [illegible] ენაზე იყო. მოწაფეთა გუნდმ[illegible]ულათ იმღერა. ქართული კი [illegible]ტყვაც არ გვსმენია. ამიტომ სამ[illegible]ანი იყო ბევრი დამსწრეს შენიშვნა:—ამ დალოცვილებმა რაზე მოგვიწვიეს, თუ კი არაფერს გაგვაგებიებდენო. —შენი გაგება რაში ეპიტნავებათ, წარჩინებას გამოელიან ასეთი მოქმედებისთვისო—ჩაილაპარაკა ვიღამაც...

სოფ. ამაღლება (გურია).

დიდ გაჭირვებაშია ეს სოფელი უგზოობის გამო, რკინის გზაზე 10– 12 ვერსით ვართ დაშორებული. ამ გაჭირვებას ცოტათი მაინც აშორებდობდა ხალხი, რომ სოფ. ჩაპანაში რკ. გზის პლატფორმა დაარსებულიყო. ხალხმა გულით მოიწადინა ამ სასარგებლო საქმის დაგვირგვინება, რამდენიმე ფულიც შეკრიბა და დახმარება სთხოვა ამაღლების, ჩაპანას და ბულკარის საზოგადოებას მაგრამ გამოჩნდა ორი ვაჟბატონი, მთელი სოფელი გადიბირა და უარი ათქმევინა. ამნაირათ თითქმის გამოწყობილი საქმე ჩაიშალა. ამ ხიფათს ავცილდებოდით, რომ ადგილობრივ შეგნებულებს საქმეში აქტიური მონაწილეობის მიღების უნარი არ აკლდეთ.

დ. ონი (რაჭის მაზრა).

ალისუბნიდან ონში გადატანილ სამასწავლებლო სასწავლებელში სწავლა უკვე დაიწყო. მოსწავლეთა რიცხვიც ამ თავითვე ასოცამდი ავიდა. მსურველთა მიღება ჯერაც არ შეწყვეტილა. ახლავე შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ეს სასწავლებელი მკვიდრთა შორის მტკიცე ნიადაგს მოიპოვებს.

დ. ჩოხატაური (გურია).

აქაური მცხოვრებნი დიდ გაჭირვებაში არიან, ავათმყოფობა ძლიერ გახშირდა და აქიმი კი ერთადერთი ბ. მ. არეშიძე გვყავს. ბ-ნ არეშიძეს შრომა არ ეზარება, მაგრამ რას გააწყობს იქ ერთი კაცი, სადაც 3—4 აქიმია საჭირო.

ს. ხარაგაული (ზემო იმერეთი).

როგორც იქნა მოვესწარით სამკითხველოს გახსნას, მაგრამ საქმე ჯერ კიდევ ვერ არის სასურველ ნიადაგზე დაყენებული. საწევრო გადასახადი წელიწადში ორი მანეთია და ისიც ზოგს ჯერაც არ გადაუხდია. 21 ამ თვეს სამკითხველოს თავჯდომარემ ბ. ჯაფარიძემ წევრთა საზოგადო კრება მოიწვია, მაგრამ კრებაზე არავინ გამოცხადდა. ჩვენი სამკითხველოს წევრები მთელ ღამეებს „ფრაპის“ თამაშში ატარებენ და ერთი საათი დროც კი ვერ უშოვიათ კრებას დაესწრონ და სამკითხველოს გარემოება გაიგონ. ბანქოს თამაშს ქალებიც ძალიან ეტანებიან.

ამავე სოფელში ამ რამდენიმე ხნის წინათ, ღელეში იპოვეს ვიღაც კაცის გვამი. მისი ვინაობა ვერ გამოარკვიეს, რადგან პირის სახე აღარ უჩანდა. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ გამომძიებლისა და აქიმის მოსვლამდი ყარაული დაუყენა, მაგრამ ვიღაცას გვამისათვის თავიც მოუციღებია.

სოფ. ძროლში ღამით მოკლეს აქაური მცხოვრები ალექსიძე. ჯერჯერობით ვერც მისი მკვლელები ამოაჩინეს: ბოროტება აქ თანდათან ვრცელდება. ჩვენს მხარეზე გზები ძალიან ცუდია. აგერ ზამთარი გვიდგება და თუ გზები შეუკეთებელი დაგვრჩა, ტალახში ჩავიხრჩობით.

კიდევ გლეხ ფრუიძეზე.

„არჩევნების“ მეორე ნუმერში მოთავსებულია წერილი ლეჩხუმელ გლეხთა რწმუნებულ სამსონ ფრუიძე; იქ სწერია „გული გულს იცნობსო და ჩვენ არ გვიკვირს ამ მოღალატის ფედერალისტებთან დაკავშირებაო“. სასურველია ვიცოდე: ვის იცნობდა მისი სული და გული 1904 წელს და ვის უღალატა მან, როდესაც გაწკეპლეს, თოფებიც ესროლეს და სხვადასხვა წამებაც მიაყენეს? თუ მაშინ იცნობდენ, ვინც იყო ის და არც არავისთვის უღალატია, დღეს რა მიზეზია, რომ ველარც იცნობენ და „მოღალატესაც“ უწოდებენ? ნუთუ მართლა იმისთვის უწოდებენ მოღალატეს, რომ მისი საკუთარი დაკვირვებით ერთ მიმართულებას მეორე ამჯობინა? ამბობენ კიდევ: „ფრუიძე აირჩია გლეხებმა ისე, როგორც ჩვენი მომხრეო და სხვადასხვა“.. როგორც მის წინა წერილშივე ამბობდა თვითონ ფრუიძე, ის გლეხებმა აირჩიეს, როგორც თავისი მომხრე და არა რომელიმე პარტიისა. და რომ ეს ასე იყო, ამას ჩემს მეტი სხვანიც, არჩევნებზე დამსწრე პირნიც იტყვიან, და თუ ვინმემ ასიამოვნა ესდეკებს და სხვანაირათ გადასცა მათ, ეს რა ფრუიძის ბრალია? მართალს თუ მომისმენთ, კიდევ უკეთეს მოგახსენებთ: ერთ ფრუიძის ამომრჩეველთაგანს ბ. ხეცურიანს უნდა დაედგა ყუთი და გასულიყო ამრჩევლათ, როგორც ფედერალისტების კანდიდატი, სიტყვაც ქონდა მიცემული, მაგრამ დღეს ის, თანახმად ესდეკების მომხრე პირების ჩაბერვისა, როგორც საკუთარი რწმენის არა მქონე ადამიანი —სულ სხვას ამბობს.

თუ მართალია არჩევნებზე ბძანდებოდენ ესდეკები და განსაკუთრებით კი ბ. „ცაგერელი ლითიკიც, ნუ თუ ვერ გაიგონეს ის სიტყვიერი მიმართვა ამრჩევლებისადმი განსაკუთრებით კი ფრუიძისადმი, რომლითაც მიმართა მას ვინმე იქ მყოფმა წარჩინებულმა პირმა, ვითომც ფრუიძე ესდეკების მომხრე უნდა ყოფილიყოს? რა ქნეს ამის შემდეგ ამომრჩეველმა გლეხებმა? იბრუნეს თუ არა პირი ფრუიძისაგან, როგორც ესდეკთა მომხრესაგან? და გაათეთრეს თუ არა ფრუიძე ჩემი და ჩემი თანამოზიარეთა სიტყვების შემდეგ, სადაც ჩვენ ვაცნობეთ გლეხებს დი დავარწმუნეთ კიდევაც, რომ ის იყო ესფერი და არა ესდეკი? ბატონებო, თუ ეს ყველაფერი ასე იყო, როგორ იტყვით: ვისი მიმართულების მომხრეთ ყოფილა არჩეული გლეხი ფრუიძე, თქვენი თუ ჩვენი? დასასრულ, უნდა გითხრათ გატეხილი, რომ სწორეთ სასურველია ამისთანა შეგნებული, თქვენებურათ კი „მოღალატე“, ბევრი გამოგვჩენოდეს ჩვენ.

არჩევნებზე დამსწრე მასწავლებელი
ი. თავბერა.

სათათბიროს არჩევნები.

არჩევნები უკვე დასრულდა და გამოირკვა, რომ ბურთი და მოედანი მემარჯვენეებს დარჩა...

გაიმარჯვეს პურიშკევიჩმა, მარკოვმა და კომპანიამ... მაგრამ განა ეს გამარჯვებაა?..

ნუ თუ ხალხი მარჯვნივ გადიხარა?! ნუ თუ ის კმაყოფილია ახლანდელ მდგომარეობით? არის, სხვათაშორის ერთი ფაკტორი, რომელსაც ამ მხრით არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს. ეს გახლავთ—აპატია თუ ბოიკოტი არჩევნებისადმი.

ხალხმა სამი სათათბიროში წარმომადგენლები გაგზავნა, სარგებლობა კი ვერა გამონახა, მისგან ბევრს აწიც არაფერს გამოელის.

ხშირათ ვკითხულობდით გაზეთებში, რომ რამდენიმე ათას წვრილსა და საშუალო უფლებიანი მემამულეთა მაგივრათ გამოცხადდა მხოლოდ რამდენიმე ათეული; შეეძლოთ რწმუნებულები ასობით აერჩიათ, აირჩიეს კი ერთი ან ორი. იყო შემთხვევები, როდესაც სრულიად არავინ გამოცხადდა და არჩევნებიც არ შესდგა...

იმ აზრის გამომხატველი, რომ ახლანდელ პირობებში არჩევნებში მონაწილეობის მიღება არა ღირს, რომ სრულიად გასამართლებულია ის საარჩევნო აპატია, რომელსაც ახლა ვხედავთ,— გამოვიდა ჟურნალი „Завѣты“.

ამ ჟურნალის მეოთხე ნუმერში ს. მსტისლავსკი ამბობს:

თუ ამომრჩეველს არ აინტერესებს ახლანდელი არჩევნები ეს იმისთვის, რომ ამას „სხვის“ საქმეთ სთვლის და თავისი საქმე კი უნდა სხვა გზებით გააკეთოს. ცხოველმყოფელი მუშაობა სათათბიროს გარეშე წარმოებს და შემდეგში კიდევ უფრო იწარმოებს, რადგან ახლა ხალხს საკუთარი თავის გარდა არავისი იმედი არა აქვსო. რა შუაშია აქ „მოქალაქობრივობაო?

მოქალაქობრივობა გამოიხატება არა იმით, რომ საარჩევნო ყუთებთან, ან წინასწარ კრებებზე ცხვრებივით მიგვრეკონ, არამედ ძვალ-რბილში გამჯდარ, მოთხოვნილებაში—შევიტანოთ რაიმე წვლილი საკუთარი ხელით, საკუთარი ძალღონითა ცხოვრების გარდაქმნაში, მისი პირობების გაუმჯობესებაში, წინსვლაში...

და არა თუ ამას ვერ ვხედავთ,—სწერს ამავე ჟურნალში ი. ვეჩევი,—პირიქით ვამჩნევთ რომ წაგებაშია ხალხი. ვგრძნობთ, რომ სათათბირო, რომელიც ნამდვილ პარლამენტს წაავავს, რადგან იქ მემარჯვენე მხარე, ცენტრი და ოპოზიციაც არის,—ამშვიდებს აწყნარებს რუსეთის ზოგიერთ გულუბრყვილო ელემენტებს; ვხედავთ, რომ ჩვენ ამ სათათბიროს წყალობით საზღვარ-გარეთის წინაშე კონსტიტუციონური ფორმაში გამოწყობილი გამოვდივართ; ვამჩნევთ, სათათბიროში მხოლოდ სამარცხვინო მონურ მორჩილებას და „განკარგულებათა“ დამტკიცებას. მაშ არჩევნებში მონაწილეობის მიღებით რა სამსახურს ვეწევით ქვეყნის წინაშე.

ისინი, რომელნიც უწოდებენ მაინც და მაინც საარჩევნო ყუთებითან მისვლას

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრაქტიკულათ ემორჩილებიან ხალხური წარმომადგენლობის ყოველივე იდეის შელანძღვას, ფეხ-ქვეშ გათელვასო,— ამბობს ამავე ჟურნალში გრ. შრეიდერი.

თუ მაღლა გიჭირავთ ნამდვილი ხალხური წარმომადგენლობის იდეის დროშა, თუ არ გსურთ ხელი შეუწყოთ მოწინააღმდეგე ძალებს, თუ არ გსურთ სამარცხვინო კომედიის თამაში, მაშინ ახლანდელ არჩევნებში მონაწილეობა არ უნდა მიიღოთო. და, აი, ამ არჩევნების დროსაც ხალხის უმრავლესობა ნებსით თუ უნებლიეთ, გარკვეულათ თუ გაურკვევლათ, შეგნებულათ თუ შეუგნებლათ— სწორეთ ამ შეხედულებას დაუჭირა მხარი. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს...

ვასიკო.

ხარკოვი.

წინასწარი ხელის მოწერით წიგნების გამოცემა ჩვენში.

ქართველები რომ გრძნობის ხალხი ვართ, ამას ფიცი და მტკიცი არ უნდა, გაუელვებს ვისმე თავში რაღაც აზრი, გაუზიარებს მეორეს, აფრთოვანდება იგიც... ალაპარაკდება მთელი საზოგადოება, დაიწყება კამათი, გამოიმუშავებენ კიდეც იდეალურ გეგმებს, შეეპოტინებიან ცაში ვარსკვლავებს, შექმნიან ილიუზიებს და, გაიყინება ერთ ადგილს შემუშავებული გეგმა; ორი-სამი თვე და გეგმაც და აფრთოვანებაც დავიწყებს მიეცემა.

ამ რამდენსამე ხნის წინათ მრავალი წერილი დაიბეჭდა ქართულ გაზეთებში იმის გამოსარკვევათ, თუ როგორ უნდა მოეწყოს წინასწარ ხელის მოწერით წიგნების გამოცემა, რომ ნიადაგი ქონდეს საზოგადოებაში და არც გამომცემელმა და არც ხელის მომწერლებმა იზარალონ.

ბევრმა გამოსთქვა თავისი აზრი, მრავალმხრივ განიხილეს ეს საკითხი და... საკითხი საკითხათ დარჩა და საქმეს კი არა ეშველა-რა. პრაქტიკული ნაბიჯი არავის გადაუდგამს ამ მიზნის განსახორციელებლათ. გულით და სულით უნდა ხალხს შეიძინოს გონების საზდო, მაგრამ დღევანდელ პირობებში კი შეუძლებელია, რომ გაბედოს ვინმემ და დაიკვეთოს ხელისმოწერით რომელიმე წიგნი, რადგან არ არის დარწმუნებული, გაუღიმებს ბედი, ეღირსება წიგნის მიღებას თუ არა.

ბევრი იყო ამის მაგალითი: ორი-სამი წლის წინათ ამხანაგობა „ალიონმა“ გამოაცხადა ხელის მოწერა სამ წიგნზე ერთად. გათავდა კიდეც ხელის მოწერა, ჩააბარეს აგენტებმა ფული, ვითამ იბეჭდებოდა კიდეც წიგნები და მიღებით კი არავის მიუღია.

მეორეს ამხ. „კულტურა“-ს, წარსულ სააღდგომოთ უნდა დაერიგებია ნ. ჟორდანიას თხზულებათა მეორე ტომი, მაგრამ იქნება მეორე აღდგომასაც ჩქარა შევესწროთ და წიგნები კი არსად სჩანს.

ასეთივე ბედი ეწია დ. კასრაძის რომანს—„როსკიპს“, რომელიც ხუთი-ექვსი თვის წინათ უნდა დაერიგებიათ...

თუ ახლავე არ ეშველა საქმეს, ასეთი გამომცემლების წყალობით შეიძლება სულ დაკარგოს ბაზარი ქართულმა წიგნმა და მაშინ გვიანღა იქნება თითზე კბენანი.

ამ ბოლო დროს დაიწყო კრებულების გამოცემა „ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის საზოგადოებამ“, მაგრამ, როგორც საზოგადოების სახელწოდებიდან და თვით I და II კრებულის—„ბრძოლის“ შინაარსიდანაც სჩანს, მხოლოდ საკვლაოთაც მხატვრული ნაწარმოებების და მათი კრიტიკის გამოცემას აპირებს ეს საზოგადოება. სამეცნიერო და ფართე მასისათვის საჭირო პოპულიარული წიგნები კი უყურადღებოთ რჩება.

კარგი იქნებოდა, რომ ამ ფრიად სიმპატიურ საზოგადოებას სამეცნიერო—პოპულიარულ წიგნებზეც ეზრუნა. ნიადაგი მომზადებულია, წიგნების შეძენის სურვილი ჯერ კიდევ სუფევს ხალხში და კარგი იქნება, სანამ ასეთი სურვილი არ გაწელებულა, მკვიდრ ნიადაგზე დადგეს წიგნების ხელის მოწერით გამოცემის საქმე და დარწმუნებული ვარ, ახლა თუ 1000—1500 ცალი სადდება, როდესაც ხალხის თვალში ნდობით აღჭურვილი დაწესებულება ჩაუდგება სათავეში, ამ საქმეს მაშინ თავისით ჩამოსცილდებიან „ბრძოლის ველს“ კერძო გამომცემლები და ერთიორათაც იმატებს ხელის მოწერა. ასეთი ნდობით აღჭურვილათ კი „ქართულ“ სიტყვა-კაზმულ მწერლობის“ და „ქ. შ. წ. კ. გ.“ საზოგადოებანი მიმაჩნია.

არწივი.

სულს ვერ მოკლავ!..

მზის სხივები აღარ [illegible]ფობს,—მზემა ზურგი მომაქცია,
სევდამ გული და[illegible] შიგ ნაღველი ჩააქცია...
ვგრძნობ სიკვდ[illegible]ლოვდა,—სიცოცხლეს კბენს შავი გველი,—
სუნთქვას ახშობ[illegible]იშხამავს კაეშანი, სახე ბნელი...

შავი ლ[illegible]იკვდილისა, ვხედავ, თავზე დამტრიალებს,—
არ მშორდება, სულსა ქენჯნის, გრძნობას სწამლავს, ატიალებს...

მაგრამ სიკვდილს გული ქვისა—ვერ ემონა, ვერ ეთვისა,
ჯოჯოხეთის ცივმა სუნთქვამ ვერ ჩააქრო ცეცხლი ღვთისა...
და მეც ვყვირი:—შენ, სიკვდილო! ქენჯნე ხორცი, ქენჯნე მტვერი!..
სულს ვერ მოკლავ,—ის ჩემია! სხვა შენ გქონდეს ყველაფერი!..

სევდიანი.

ომი ბალკანეთზე.

დეპეში.

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო).

სტამბოლი. მოვიდა საფრანგეთის კრეისერი „ვიქტორ ჰიუგო“. სამხედრო მთავრობამ პოლიტიკური კლუბები საავათმყოფოებათ გადაქმნეს. სატახტო ქალაქში ურიცხვი დაჭრილია, რომლებიც სოფ. ბოსფორის მახლობლათ 15 ოსმალეთის საფრანგეთის, იტალიის და რუსეთის სასტუმროში მოათავსეს. მიუხედავათ ამისა მრავალი დაჭრილი მიწაზე გდია. გამოქცეულები სადგურ სარკეჯთან შეკრიბეს.

ლონდონი. „ვესტმინსტერ გაზეთ“-ი სწერს:

არ უნდათ ავსტრია-სერბიის საკითხის მნიშვნელობა დაამცირონ, მაგრამ ის აზრი, რომ ამ საკითხის გამო ავსტრიას რუსეთთან ბრძოლა მოუხდება, სასაცილოა. ავსტრიას აქამდი თავი თავაზიანათ და მოთმინებით ეჭირა, მაგრამ ალბანეთის საკითხი მისთვის და იტალიისთვის იმდენათ მნიშვნელოვანია, რომ ძნელი სათქმელია სერბიის თვალსაზრისი დასრულებულათ ჩაითვალოს. ევროპისთვის საინტერესოა ისა, რომ ალბანეთსა და მაკედონიის ნაცვლათ მახლობელი აღმოსავლეთის გათანასწორების იქსათ არ იქცესო.

ბელგრადი. ავსტრიის ელჩი მოვიდა. ელჩმა პაშიჩს გაუცხადა, რომ დიდი წინააღმდეგია ავსტრია სერბიის ზღვაში გასვლისო. პაშიჩმა უთხრა, რომ ეს საკითხი ჩვენი არსებობის საკითხია და ამიტომ მოკავშირეები სერბიასა მხარს უჭერენო.

ვენა. დეპუტატ ვრეტშნეიდერმა ავსტრიის საქმეში ჩარევის წინააღმდეგი სიტყვა წარმოსთქვა, „ბალკანეთი ბალკანეთის ერებს ეკუთვნის“-ო. რენერის აზრით ავსტრია ყოველთვის მტერი იყო თანამედროვე წესიერების და განვითარებისო. რეზოლიუცია მშვიდობიანობის დამყარებას მოითხოვს.

ათინი. მემკვიდრემ უცხოელებს გამოუცხადა, სალონიკი დასტოვეთო.

სოფია. როგორც „მირი“ იტყობინება: ადრიანოპოლის ჯარმა ქალაქიდან გამოსვლა დააპირა, მაგრამ ბულგარეთის არტილერიის ცეცხლმა ხელი შეუშალა.

ცეტინიე. დიაკოვიდან ცნობაა: ალბანეთის გამოჩენილი წინამძღოლი სულეიმან-ბატური და ყველა სოფლები დიაკოვის მახლობლათ გენერალ ვიკტოვიჩს დანებდა იარაღით. ოსმალოს სასულიერო წოდება დამორჩილების მომხრე იყო და კათოლიკები კი წინაღმდეგი.

უსკუბი. კუმანოვოში დამარცხების შემდეგ ზოხტი-ფაშა და ჯავი-ფაშა ტეტოვოში გაიქცა; მათ დაედევნა უკან მუტესარიფ მახმედ ფაშა და 15000 ჯარის კაცი. ტეტოვის და გოსტივარის ალბანელები სერბიელებს უბრძოლველათ დანებდნენ. პრილების ხევი, სადაც ოსმალების პოზიციები იყო ხიშტებით აიღეს და 330 მოუკლეს. 26 ოკტ. ალინცსა და ზაგორანს შუა მკაცრი ბრძოლა მოხთა, ოსმალებმა ბიტოლისკენ დაიხიეს სადაც 40000 ოსმალომ თავი მოიყარა. აქ საბედისწერო ბრძოლას ელიან.

სოფია. გაზეთი „მირ“-ი სწერს, „ბალკანეთი ბალკანეთის ერებს“ იგულისხმებს რომ ბალკანეთში ყველა ერი თავისუფალი იყო და მაშასადამე ალბანეთიც, მაგრამ ადრიატიის ზღვისკენ გზის დახურვა სერბიისთვის მომავალი ომის დათესვა იქნება, რომლის ლოკალიზაცია ადგილი არ იქნებაო.

ვენა. ავსტრია-უნგრეთს უნდა, რომ ბალკანეთის სახელმწიფოებს სრული პოლიტიკური და ეკონომიური დამუკიდებლობა მიენიჭოთ. იმას კარგათ ესმის აგრეთვე სერბიის მისწრაფება საქონლის გასატანათ ნავსადგური გაიკეთოს, ხოლო ჩვენ გვინდა ეს ნავსადგური ადრიატულ ზღვაზე არ იყოს. ამიტომ იმედი გვაქვს რუსეთ-სერბიის პრესა ჩვენ თავდაჭერილობის პრინციპს პატივს ცემს. ეს პრინციპი შემდეგია, სხვისი პატივისცემა და თავის დაცვა.

ბერლინი. კალკუტიდან იუწყებიან: გავლენიან ინდუსთა მრავალ რიცხვოვანმა კრებამ წინადადება შეიტანა, რომ ევროპის და განსაკუთრებით კი ინგლისის საქონელს ბოიკოტი გამოუცხადონ. ეს იქნება ინგლისიდან ევროპის სხვა დიდი სახელმწიფოების ოსმალეთისადმი მოქმედების წინაალმდეგ პროტესტი. ინდუსთა წინამძღვარი აფრთხილებს ევროპას თქვენის მოქმედობით მამადიანთა სარწმუნოებრივი ომი არ გამოიწვიოთო.

დეპეში.

(პეტ. დეპ. სააგენტო)

საზღვარგარეთი.

პეკინი. რუსეთ-მონგოლეთის შეთანხმების გამო რესპუბლიკის პრეზიდენტის ბინაზე ხანგრძლივი ბჭობა იყო. გადაწყვიტეს—ეს შეთანხმება უარყონ და ხალხის დამშვიდება ან მოლაპარაკებისა და ან იარაღის საშუალებით ეძიონ.

ახალი-ორლეანი. ხად. იაზუს მახლობლათ მისი სიპის ვაკეზე მუშა მატარებელი დაეჯახა სახალხოს—მოკვდა 20 და დაიჭრა 50 კაცი.

ნეაპოლი. იტალიის მეფის დაბადების გამო ფრანც იოსებმა მიულოცა დღეობა და იტალიის ფლოტის გამარჯვება ტრიპოლის ომში. მეფე დღეს ფლოტს ათვალიერებს.

მაიმაჩენი. ჩინელთა და მონგოლთა შორის გამწვავებული შური და უწესოება მესაზღვრე კომისარის წყალობით ჩააქვრეს. ურგას თავ. შდაი მოვიდა.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა სხდომის ბოლოს და რამდენიმე შეკითხვასა ბამბერის მიერ შესწორების შეტანას შემდეგ ხმების დათვლას შეუდგა. დარბაზში უნიონისტების აფრთოვანებული ხმაურობა გაისმა, რადგან უკანასკნელებმა მთავრობის დამარცხება ხმების დათვლამდი იცოდენ. როცა ბანბერმა, კლერკის ფურცელი ხმების რიცხვით ხელში აიღო, საშინელი აფრთოვანების ალი მოედვა ოპოზიციას: წამოხტენ თავის ადგილებიდან და ქუდებიც შეაგდეს. გავიდა რამდენიმე წუთი, სანამ შედეგს გამოაცხადებდენ. ასკვიტმა სხდომა დახურა. ამან ახალი ხმაურობა გამოიწვია. როცა ასკვიტმა პარლამენტი დატოვა, ოპოზიცია უკან მისძახოდა: „შვიდობათ, აწი ვეროდეს ვეღარ დაბრუნდებიო“-ო. კაბინეტის სხდომამ გადასწყვიტა, რომ მთავრობის დამარცხებას და შესწორების მიღებას ბევრი დაბრკოლება ახლავს თან ტეხნიკური მხრით, ბილის შემოღებას ხარჯები მოყვება და ეს პალატას აიძულებს თავის გადაწყვეტილებაზე უარი განაცხადოს. ხმებია აღმოსავლეთში კრიზისის გამო სამინისტრო სამსახურს თავს არ დაანებებსო.

ომის ამბავი.

(გაზეთებიდან).

„რუსკოე სლოვოს“ ამერიკიდან სწერენ:--ბალკანეთის სახელმწიფოების ოსმალეთთან ომის გამოცხადებამ ადგილობრივ სლავიანებსა და ბერძნებზე დიდი გავლენა მოახდინაო. შესდგა განსაკუთრებული კომიტეტები, მოეწყო მიტინგები, ვრცელდება მოწოდებანი, იკრიბება ფული და სლავიანების დასახმარებლათ იგზავნება ბრძოლის ველზე. ჩრდილოეთ ამერიკაში 10,000-მდი მცხოვრები ბერძენია. ამათ მიტინგზე ოცი ათასი დოლარი შეიკრიბა. ბულგარელების მიტინგზე, რომელთა რიცხვიც ამერიკაში ექვსი ათასს არ აღემატება, ოცდახუთი ათასი დოლარი შეიკრიბა. მოგროვდა აგრეთვე შავმთიელებში რო[illegible]თას ხუთასი დოლარი და სერბიელებშ[illegible] მეტი ათასი დოლარი. ფული ი[illegible] ყველგან და ყოველ საზოგადო[illegible]ებულებაში ყუთებია, რომელიც [illegible]ვათ ივსება ფულით. ფულს ბლომათ რუსი ემიგრანტებიც იღებენ და თავისუფალ ჯარისკაცებათაც ისინი ეწერებიანო.

თავისუფალ ჯარისკაცთა ცენტრალური კომიტეტის წევრის დ. მილოტინის ეზო მუდამ ხალხითაა ავსებული. აქ არიან შავმთიელები, ბულგარელები, სერბიელები, ბერძნები, ალბანელები, მალისორები სომხები და რუსები.

მცირე წლოვანნი და ხანში შესულნი— ყველა ჯარისკაცებათ ეწერება. მალე აქედან 2500 ჯარისკაცისაგან შემდგარი რაზმი წავა ბრძოლის ველზე. მას სახელათ ერქმევა „ამერიკის ემიგრანტთა რაზმი“.

თხზულება

ფრანგულ ენაზე.

ჩვენმა თანამემამულემ ლ. კერესელიძემ, რომელმაც შარშან იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, მოისურვა სოციალოგიური ფაკ—ის დასრულებაც. სოც. ფაკ—ზე იღებენ მხოლოდ იმ იურიდ. ფაკ. დამთავრებულებს, რომლებიც რაიმე შრომას წარადგენენ და ეს შრომა ფაკულტეტისგან მოწონებული იქნება. ბ. ლ. კ—ძემ შემდეგი თემა აიღო: „საქართველო, მისი ხელშეკრულებანი რუსეთთან და მისი დამოკიდებულობის მოსპობა“. (La Georgie. Les traites. Ses avec Russie et la fin de son independance). ეს შრომა 6 თავათ, ანუ, ასე ვსთქვათ ეპოქათ აქვს დაყოფილი.

აქვე მოვიყვან კონსპეკტიურათ თითოეულ თავს. 1 თავში ბ. კ—ძე აუწყებს ქრისტიანობის დამკვიდრებას საქართველოში და არჩევს, თუ რა დამოკიდებულება შეიქნა მას აქით საქართველოსა და ბიზანტიის შორის. რა კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა ქონდა საქართველოსთვის ბიზანტიის მეზობლობას. მეორე თავში აწერილია არაბების შემოსევა საქართველოში და ამ უკანასკნელის მდგომარეობა 888 წლამდი. ფეოდალიზმი საქართ—ში, მიზეზები მისი განვითარებისა და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის. ამავე თავშია ბაგრატ 3-ის პოლიტიკა. მესამე თავში ლაპარაკობს ოქროს ხანაზე, დავით მეფის პოლიტიკაზე საქართველოს გაერთიანების შესახებ მის მნიშვნელობაზე და თამარ მეფეზე.

შემდეგ თავშია საქართველოს დანაწილება და ახსნა ამ დანაწილების მიზეზებისა.

მეხუთე თავში კრიტიკას უკეთებს ქართველ მეფეების პოლიტიკას რუსეთთან შეერთების შესახებ. აქვე სწერს ვახტანგ მეფეზე და პეტრე დიდზე. უკანასკნელ თავში—ერეკლე მეფის ხანა, მისი პოლიტიკა. ხელშეკრულება 1783 წ. გიორგი მეფე. სვიმონ ლეონიძე. საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა..

ეს შრომა რემინკტონზე დაბეჭდილი 55 გვ. უკვე წარადგინა ბ. კ—ძემ და ფაკულტეტმა არამც თუ ნება მისცა მას ორი სემესტრის მოსმენის შემდეგ ჩააბაროს პოლიტიკურზე დასამთავრებელი ეგზამენები, სთხოვა ეს შრომა განმარტოს, გააფართოოს და შემდეგ გამოცემას თვით ფაკულტეტი კისრულობს ევროპაში ცნობილის შარლ ბარუს წინასიტყვაობით. ერთი სიტყვით ფაკულტეტს ძალიან მოეწონა და დაინტერესა ამ საკითხმა. ბევრ მასალა ფაკულტეტი აძლევს, მაგრამ კიდევ საჭიროა მისთვის შემდეგი წიგნები: 1. ცხოვრება საქართველოსი—უსახელო ავტორისა. 2. შემოკლებული ისტორია საქართველოსი ანუ ნარკვევი დავით ბატონიშვილისა. 3. მეფე ირაკლი 2-ის დრო ჯამბაკურ-ორბელიანისა. 4. Историческій взглядъ на состояніе Грузіи подъ власти царей магомотан. П. Іоселіани. 5. Сношеніе Россіи съ Кавказомъ Бѣлокурова. 6. Дипломатическія сношенія грузинскихъ царей съ русскими государями—Плоэна. 7. Переписка груз. царей съ русскими—Плоэна. 8. Сношенія Россіи съ Кавказомъ Будкова. 9. Грамоты и другіе документы относящіеся до Грузіи.

ვიმედოვნებთ, რომ საზოგადო დაწესებულებები თუ კერძო პირები, ვისაც კი მოეპოვება [illegible] დროზე მიაწოდებენ და ამით ხელს შეუწყობენ ჩვენს თანამემამულეს ამ სასარგებლო და ნაყოფიერი შრომის საქმეში.

მასალები შეიძლება გამოიგზავნოს შემდეგი ამ მისამართით: Швейцарія Genevee—Suisse. Carl Voqt 41-3 M-r Keresseliaze წიგნებს 3-4 თვის შემდეგ ყველას დიდი მადლობით დავუბრუნებ.

თეთრი.

COR ARDENS.

გაგიგონია ოდესმე გედის სიმღერა, სიკვდილის გრძნობის მძიმე ჟამს რომ იმღერის.

რათ არის ნაღვლიანი მისი მოთქმა?

რისთვის თრთის ისე გული!

სულს მოწყურდა დაუბრუნებელის დაბრუნება, უმთვარო ღამეს, მდუმარე ტბაზე დახრილ ძეწნას ემუდარება დაუბრუნოს სიყვარულის ეჟვი, იმედი, ტანჯვა.

მაგრამ როგორც ძეწნა ვერ აწევს მტირალე ტოტებს, ისე არ განმეორდება ის, რასაც აზის ბეჭედი გაუსწორებლობისა.

პირველად შეხედა სიკვდილის წინ გედმა ჭეშმარიტებას, პირველად შეხედა და სიმღერით გაისტუმრა მომაკვდავმა უკანასკნელი ფრთა სიცოცხლისა.

მეც ხომ გედი ვარ სიყვარულის ტბაში მოცურავე...

ჩემი სიმღერაც, სიმღერაა პირველად თვალ-ახელისა!

მე გწყევლიდე შენ?

მერე რათა?

მისთვის რომ დაუცლელი თასს შხამი გაერია?

— ასე რომ არ ყოფილიყო მე არც კი დავლევდი მას.

მისთვის რომ მპირდებოდი ქვეყნად სამოთხეს და ჯოჯოხეთის კარებთან ვიყინები?

— სამოთხეს მისთვის აქვს ფასი, ვინც ჯოჯოხეთში ყოფილა, კურთხეულ იყოს ის ჟამი, როცა შენი ცფიერი ტუჩები ვნებით სწვავდა ჩემს სახეს, კურთხეულ იყოს შენი ხვევნათა სიცხოველე, შენი ხვევნათა სიგიჟე!

— უმისოთ მე არ მექნებოდა წარმოდგენა ცეცხლით მსუნთქავ ორქილეების ბაღზე.

ნურავინ დასწყევლის თავის წარსულს, თუნდა იმიტომ, რომ იგი არაოდეს არ დაბრუნდება!..

ჩემი სიცოცხლის გაზაფხულზე, ჩემი სიცოცხლის დღესასწაულზე...

ცამ გამომიგზავნა სტუმრად ჭრელი გველი.

მკვლელო შორეულო, შენ რომელმაც ჩემს გულში აანთე ჩირაღდანი დაუცხრომელი გრძნობისა, ვინ შეაერთე დღეი და ხვალე, წარსულს და მომავალს მოგონების ქსელი გააბი.

— იყავ კურთხეულ.

ასე გლოცავს გული ვნებით დამწვარი.

შეუძლია ქარიშხალს, არწივის ფრთებს რომ ეთამაშება, ღრუბელთ, ქარავანს რომ წინამძღვრობს—ვისმე დაემორჩილოს?

შეუძლია ცისკარს—არ ბრწყინავდეს?

არც ჩემ სულს უნდა სიმშვიდე...

იყავ კურთხეულ, შენ, ვინც მასწავლე ტანჯვაში სიხარულის ძებნა?..

ტ. ტაბიძე.

საყურადღებო დღესასწაული.

მომავილი წლის სექტემბერში სწორეთ ოცდაათი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც წინამძღვარიანთკარი სასოფლოსამეურნეო სასწავლებელი დაარსდა. დიახ, 1883 წელს სექტემბრის თვეში დუშეთის მაზრის ს. წინამძღვარიანთკარში, ეროვნული დღესასწაული იყო; ამ დღეს აკურთხეს ეს მადლიანი შკოლა, ამ დღეს ეღირსა ამ მხრის სოფლელებს პირველათ შკოლის კარების ნახვა, ამ დღეს მიხვდა აქაური გლეხკაცობა, რომ მათაც აქვთ სწავლის მიღების უფლება. ამ შკოლის კურთხევის დღეს, აქაურ გლეხობას პირველათ ესმა ქართველთ ბუმბერაზი მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მჭუხარე, მადლიანი ისტორიული სიტყვა. ამ დღეს სოფელმა პირველათ ნახა ჩვენი ქვეყნის მოღვაწენი ერთად შეკრებილნი, ყველა მხიარული, ყველა შკოლის გახსნას აღტაცებით ეგებებოდა და ულოცავდა ადგილობრივ მცხოვრებთ ამ სამარადისო სასარგებლო აკვნის დაარსებას. ეს დღე არამც თუ აქაურობისათვის, არამედ მთე-

ჭურჭლეულობის და ავეჯეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში **ფ. ს. ფილიპოვისა**

ყოველთვის მოიპოება დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ფაიანსის ჭურჭლეული; საუცხოო ბრ[illegible]ინის საქონელი, საუკეთესო ლამპები ვარშავიდან და საზღვარგარეთიდან, აგრეთვე ჭიქა, ემალ
გამოვლებული ჭურჭლეული თეთრი ალიუმინის, ალპაკა და სპილენძის ქვაბები, ყავადნები, [illegible]ა სხვა სამზარეულო ჭურჭელი. სამოვრები, ნავთის სამზარეულოები [illegible] სხვადასხვა—ნივთი-
ვერცხლნარევი დ ბრინჯაოთი ნაკეთები საქონელი. ვენური მოხრილი სუფრის ყოველგვარი და ბ[illegible]ულობა, ვარშავისა და ინგლისის ქარხნებიდან ლოგინები. ქედლისა და საპირფარეშო სარკეები, სას-
ფრე კლიონკები და იატაკზე საფენი ლინოლეუმი, საზღვარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მან[illegible]ალალაიკები, პატე—გრამაფონები და მათი ფირფიტები, პიანინოები და ყოველგვარი საკრავები [illegible]
ლება. ელექტრონული ლამპები და ყოველგვარი მოსაწყობელი, ორთქლით მრეცხავი მანქანები დ[illegible] მოწყობილობა, დიდძალი რჩეული შპალერი 8 კაპეიკიდან ვიდრე მანეთ-ნახევრამდი თოფი. საუკეთესო
ქარხნის მბეჭდავი მანქანის წარმომადგენლობა ქუთაისის გუბერნიის და ბათომის ოლქში მეკუთვნის მხოლოდ მე. **ფასები მეტად დაკლებულია.**

სავაჭრო სახლი **გ. გოკიელის შვ-ები** სავაჭრო სახლი

აუწყებს მოწაფეებს, რომ მათ შეუძენიათ დიდძალი საჭირო

საწერი, სახატავი და საკანცელარიო ნივთები,

რომელნიც პირდაპირ მწარმოებლებისაგან არის ნაყიდი კარგი პირობებით. სავაჭრო სახლმა ბევრ ნივთებზე გასულ წელთან შედარებით

ფასები დაუკლო.

ეს ფასი, რომელიც ხელმისაწვდომია და იაფია, კარგათ იცის ქუთაისის საზოგადოებამ.

ლი ქართველი ერისთვის „მზიანი ნათელი დღე იყო“. ამ დღეს დაარსდა საქართველოში პირველი ეროვნული შკოლა, უფასო, ყველასათვის ხელმისაწვდომი და საჭირო.

ეს შესძლო ერთმა პატარა, მაგრამ დიდბუნებოვანმა ადამიანმა, თავის ქვეყნის უსაზღვროთ მოყვარულმა მამულიშვილმა **ილია წინამძღვარიშვილმა**. მის მიერ ნამოქმედ-ნაღვაწი ყველასათვის თვალსაჩინოთ მჭერმეტყველობს; მგონი, ყველამ კარგათ იცის, თუ რა შესძლო ამ ერთადერთმა კლდე ადამიანმა. მე მინდა საზოგადოების ყურადღება სხვა რამეზე მივაქციო. მინდა ყველას დავასწრო და ხმამაღლა მოვიწოდო ყველა ქართველი, რომ მომავალი წლის სეკტემბრის თვე ღირსეულათ ვიდღესასწაულოთ. ერთი წლით წინ ამას იმიტომ ვაცხადებ, რომ შევემზადოთ და ამ შკოლის 30 წლის არსებობა და მისი სულის ჩამდგმელის, მისი ერთგული მოჭირნახულე **ილიას** მოღვაწეობა ღირსეულათ აღვნიშნოთ. მე ვფიქრობ, ამისთვის დრო გვეყოფა, მხოლოდ საჭიროა ერთი მეორის გამოხმაურება დღესასწაულის, საერთო გეგმის შედგენა და მისი სასახელოთ და სასარგებლოთ შესრულება.

ჩვენის მხრით დიდი უმადურობა იქნება 30 წლის შემდეგ მაინც მოხუც **ილიას** ამაგი არ დავუფასოთ და სიცოცხლეშივე გულითადი მადლობა არ უთხრათ.

მაშასადამე, ჩვენ უნდა შევაერთოთ ორი იუბილე: **ილიას** მოღვაწეობის და შკოლის არსებობისა. ერთიცა და მეორეც ისე უნდა გამოვიყენოთ, როგორც ეს ჩვენს მოამაგე **ილიას** შინაარსიან ცხოვრებას შეეფერება. ჩემის აზრით დღესასწაულის გამართვა, მისი თაოსნობა და მოწყობა, სხვების დახმარებით, უნდა ვიკისროთ უმთავრესად ამ შკოლის ყოფილმა მოწაფეებმა და მასწავლებლებმა. რაც შეიძლება ამ დღესასწაულს უნდა მიეცეს ფართო სახალხო და მასთან **სამეურნეო** ხასიათი. ამისათვის დაუყონებლივ უნდა შესდგეს კომიტეტი, ამ კომიტეტმა უნდა აწეროს **ილიას** ცხოვრება და მოღვაწეობა, შკოლისა და მის მოკეთეთა ისტორია. შეიმუშაოს თვით დღესასწაულის წესრიგი. რომ დღესასწაულის **სამეურნეო** ხასიათი მიეცეს, რასაც, მგონია, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს, ამისთვის საჭიროა ყველა, ვინც კი ამ შკოლაში ვსწავლობდით, იმათ მაინც დღესასწაულის დღეს ერთად თავი მოვიყაროთ, ჩვენს ამზრდელს ამაგისათვის მადლობა უთხრათ და თითოეულმა ჩვენგანმა წარმოადგინოს მოხსენება და თავის ამხანაგებს გააცნოს, თუ რა გაუკეთებია და სხ. ყოველივე ამით გამოირკვევა. შკოლის ღირსება—ნაკლიც... ჩვენც ერთი მეორეს ვნახავთ, გამვმხნევდებით, ერთი მეორის გამოცთილებით ვისარგებლებთ, ჩვენი შეკრებით კი ჩვენს უანგარო ამზრდელ **ილიასაც** მოხუცების წამებს დაუტკბობთ.

ვთხოვ ყველა ქართულ გაზეთს ეს წერილი გადაბეჭდოს*).

აპოლონ წულაძე.

---

*) ამ წერილის გადმოღება „სახ. გაზ.“-დან დაგვიგვიანდა, მართალია, მაგრამ საგანი, რომელსაც ეხება ბ. წულაძე იმდენათ საგულისხმოა, რომ ამ საგანზე წერა და ლაპარაკი არაოდეს გვიან არ არის. ამას გარდა დრო წინა გვაქვს,—განზრახულ დღესასწაულამდი თითქმის ერთი წელიწადია და ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით ამ საგანს.

რედ.

ქუთათური გამოცანა.

ჩამობძანდა ქუთაისსა,
მეზობლები ყველა ნახა.
ვისაც ნერწყვი უშრებოდა,
ზაუსოვლა ღვინით ხახა.
  კრება კრებას მოუხშირა,
  ილაქლაქა, იტრაბახა.
  სათათფიროს დეპუტატათ
  თავი უკვე დაისახა.
თაყვანი სცა ზუბრთა კრებამ,
როს ქანქარი დაუნახა...
ალმანახიც გამოუშვა;
სინიდისი გადალახა...
  ბნელში საქმეს დაეძებდა,
აქით ეცა, იქით ეცა...
ფიქრობდა, რომ შეარყია
ზღვა, ხმელეთი, ზევით ზეცა!
თანამგრძნობნიც გაიჩინა:
დავით, დიდიმ და პავლეცა,
დიმიტრია, სახლი კაცი,
კენჭის ყუთებს რო დაეცა...
  თავის ქება წამოიწყო,
  „დანოსები“ წერა-კეცა...
  მაგრამ დეპუტატობაზე,
  ხალხმა მაინც „ვარი სტაცა“!..

რედაქტორ-გამომცემელი
გ. ე. ჟელიძე.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი.

„განათლება“

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი **„განათლება“** გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორი თვისა. ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს სწავლა-განათლების საქმეს ჩვენებურს შკოლებში და ოჯახებში. ჟურნალი აწვდის მკითხველებს საკითხავ მასალას, როგორც სწავლა-განათლების შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან. ჟურნალი გამოვა დასურათებული.

ამ ჟამათ **„განათლება“** ერთად ერთი თვიური ჟურნალია ქართულ ენაზე და შეიცავს სხვადასხვაგვარ საგმაო საკითხავ მასალას და თვიურის ჟურნალის ყველა განყოფილებას.

ჟურნალ'ში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები პედაგოგები და პოეტები.

ჟურნალი **„განათლება“** შედარებით იაფი გამოცემაა და ყველასათვის ხელმისაწვდენი, ხელის მომწერთათვის წლიურათ ღირს **სამი მანეთი და ათი შაური** (3 მან. 50 კ.), ნახევარი წლით **ორი მანეთი** (2 მან.); მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ **ორ მანეთად და ათ შაურათ** (2 მ. 50 კ.); საზღვარ-გარეთ ჟურნალი ეღირება 5 მანეთი

რედაქცია სთხოვს ხელისმომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.

ხელის მოწერა მიიღება **თფილისში** „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში **ივანე ავალიშვილთან** და „ნაკადულის“ რედაქციაში, **ქუთაისში** წიგნების და გაზეთების კანტორა „იმერეთი“ ისიდორე კვიცარიძესთან, **ბათომში** წიგნის მაღაზია „განთიადი“, ამ ორ ადგილას იყიდება ცალკე ნუმრებიც.

1912 წლის იანვრიდან ჟურნალი ნისიად არავის გაეგზავნება

რედაქცია ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობს ჟურნალის თანდათან გასაუმჯობესებლათ.

მისამართი: Тифлисъ Дворянская Грузинская
Гимназія Л. Г. Боцвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

გაიხსნა ახალი სავაჭრო სახლი

სრულიად ახალი საქონლით

ივანე მარკოზის-ძის კაკანაძისა

ქ. ქუთაისში, მიხეილის ქუჩა, ძმათა გოკიელის სავაჭროს გვერდ.

სავაჭრო სახლში მოიპოება ახლათ მიღებული: ყოველგვარი საბაკალეინო და საგასტრონომიო საქონელი. საზღვარგარეთის და რუსეთის ყოველნაირი მაგარი სასმელი, სამკურნალო და სუფრის ღვინო.

და აგრეთვე ყველა ცნობილი ფირმის საკონდიტერო ტკბილეულობა და კონსერვები.

ფასები ზომიერი, **ყოველი კონკურენციის გარეშე და შეუვაჭრებლათ.**

მ. მორიდა-ძის და . წერეთლის

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისაგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილო
სადურგლო ხელსაწყობი, ფა
მინები, რკინის ნიჩბები, ლურს
თული, ყოველგვარი საღებავი
ელექტრონის ზარის მოწყობილობან. [illegible]ლერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

მიაქციეთ ყურადღება!

გ. დ. კაჭკაჭოვის

ახლათ გაღებული ფართლეულობის მაღაზია

მიაქციეთ ყურადღება!
მიაქციეთ ყურადღება!

ბულვარის პირდაპირ.

მივიღეთ და ყოველდღე ვღებულობთ დიდძალ ახალმოდის საზამთრო მატერიებს: მაღეულს, მაუდეულს, აბრეშუმეულს, ტილოს, ბამბეულს, მაგიდის ყოველნაირ გასაწყობს. აგრეთვე „რუბაშკებს“ შალის, აბრეშუმის, საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ტულის ფარდებს.

საქონელი იყიდება სხვა მაღაზიებთან შედარებით, დაკლებულ ფასათ და უვაჭროთ.

განსაკუთრებით მოწაფეებს ფორმის ტანისამოსში 5 პროც. შეღავათი ეძლევათ.

ნ. ს. ტერპი.

ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა.

სპეციალისტური სავაჭრო

ნავთის - კალინო ლამპები და ფარნები, 75⁰/₀ იაფი ელექტრონულზე, იოლათა და ადვილათ მოსავლელი.

ნავთისავე მრავალი ფეჩები, სამზარეულო, სათფური და პრიმუსები.

ფასები ძლიერ დაწეულია.

მოითხოვეთ პრეისკურანტები.



ქუთაისში ასეთი ფარნები არის 160.

მეტერსი.

ფეჩი.

ძმ. ე. და პ. საკაშვილები

ქუთაისში.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი

რკინეულობის სავაჭრო

პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში, და შესამჩნევათ გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლათ, მაგ., კარ-ფანჯრების და ბუხარ-ღუმელების; მოწყობილობა, დურსმანი რკინის ნიჩბები, წერაქვები და სხვა., სახელოსნო ხელსაწყოები ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, „ყეშტი“, სხვადასხვანაირი ემალიანი ჭურჭლეულობა, ყოველგვარი საღებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარების მოწყობილება, ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობისა.

ფასები ზომიერია.

ლანჩხუთის წიგნისა და კანცელარიის მაღაზია

აცნობებს ლანჩხუთის რაიონის მასწავლებლებს, რომ აქ დამზადებულია და იყიდება ყოველგვარი საკანცელარიო სასწავლო ნივთები: **რვეულები, დღიური,** საუკეთესო **კალმები, მელანი ქაღალდი** და სხვ. ამასთანავე აქვე იყიდება ყოველხაირი ქართული და რუსული გაზეთები და ჟურნალები.

პატივისცემით **ვ. კალანდაძე.**

ალექსანდრე რ. თაბაგარის მაღაზია ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, სობოროსთან.



მიღებულია დიდძალი გრამოფონები,
ველოსიპედები, საქსოვი და საკერავი
მანქანები, ჩიტარები და მათი მოწყო-
ბილობა. ყიდვა შეიძლება როგორც ნაღდ-
ზე, აგრეთვე ნისიათ,(თვიური შემოტანით).
ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари.

ჰყავს გამოცთილი მექანიკი, შეკეთება ყველაფრის კარგათ და ზომიერ ფასათ. გრამოფონის ფირფიტები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირაში.

ქ. ქუთაისი, სტამბა „ძმობა“, ქაზაკოვის შესახვევი, სახლი № 17